მარგოს პირადი დღიური

დღიური...

დღიური 1

ვგრძნობ, როგორ იცვლება ყველაფერი ჩემს ირგვლივ თითქოს ნელა, მაგრამ შეუჩერებლად. ის სიმყუდროვე, რაც ოდესღაც ჩემს ცხოვრებაში არსებობდა, ახლა მხოლოდ მოგონებად დარჩა. ყველაფერი თითქოს ზედაპირზე უცვლელი ჩანს, მაგრამ შინაგანად ყველაფერი იშლება, ნელ-ნელა სრიალებს, და მე ვეღარ ვიჭერ ბოლოს. თეიმურაზს რომ ვუყურებ, გულში ტკივილი მიჩნდება... ადრე ის ჩემთვის სიმტკიცის, ღირსების და სიძლიერის მაგალითი იყო. მისი სიტყვები, მისი სახე, მისი თითოეული მოქმედება ძალას მაძლევდა, მგრძნობიარობას მატებდა. ახლა კი თითქოს ისიც დამარცხდა საკუთარ თავთან. მის თვალებში აღარ არის ის ნათება და სითბო, რასაც ვეძებდი. მისი დუმილი, უმოქმედობა ეს უფრო მძიმეა ჩემთვის, ვიდრე ნებისმიერი სიტყვა. მინდა, რაღაც შევცვალო, შევძრა, გავაღვიძო, მაგრამ ვხედავ, რომ რაღაც გატყდა მასში, თითქოს ეპოქამ თავისი ნიშანი დატოვა მის სულზე და ვერაფერს ვუხერხებ.

დღიური2

ჯაყოს არსებობა კი ჩემში სულ სხვა გრძნობებს იწვევს შიში, ზიზღი, გაურკვევლობა. მასში არის რაღაც სასტიკი, დაუნდობელი, უსაზღვრო ძალა. ის არ ჰგავს იმ ადამიანებს, ვისთანაც ადრე მქონდა ურთიერთობა, არ ჰგავს იმას, ვინც ცხოვრებაზე თანაზიარი იყო. მასში არ არის სირცხვილი, სინდისი ან დასჯის შიში. ყველაზე მეტად მაწუხებს არა მხოლოდ მისი ქმედებები, არამედ ის, რომ მე ვუყურებ ამას და არაფერს ვაკეთებ. საკუთარ თავზეც ვბრაზობ რატომ ვერ ვდგავარ? რატომ არ ვთქვი ის, რაც გულის სიღრმეში მინდოდა? რატომ ვჩუმდები მაშინ, როცა სიტყვა შეიძლება ყველაფერს შეცვლიდეს? თითქოს შიში მაჩერებს, შიში მარტოობისა, შეცდომის დაშვების, ან იმის, რომ ყველაფერი კიდევ უარესად შეიძლება წავიდეს. ხანდახან მგონია, რომ მეც ამ ცვლილებების ნაწილი გავხდი. თითქოს მეც ვკარგავ იმას, ვინც ადრე ვიყავი, ვკარგავ იმ სისწორეს, ნაფიქრ-ნაგროვებულ წესრიგს, რაც ჩემს გულში მყავდა. არ მინდა ასე იყოს, მაგრამ მგონია, რომ ვეღარ ვჭვრეტ იმის მიღმა, რაც რეალურად ხდება.

დღიური3

მეშინია… მეშინია, რომ გავჩუმდები, რომ შევეჩვევი ყველაფერს, რაც ნელ-ნელა ირღვევა ჩემს გარშემო. მაგრამ ამ შიშზე უფრო საშიში ის არის, რომ ნელ-ნელა მე თვითონაც ვჩერდები, ვიძირები, ვშორდები იმ სიმართლეს, რაც ადრე ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო.

მაინც, გულის სიღრმეში რაღაც პატარა იმედი ჯერ კიდევ ცოცხალია — იმედი, რომ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვლება, რომ ღირსება, სიმტკიცე და სიწმინდე კვლავ დაბრუნდება. თუმცა არ ვიცი, ეს იმედი რეალური იქნება, თუ უბრალოდ ჩემი თავის დამშვიდებაა, პატარა ნაპერწკალი იმ სამყაროს, რომელიც უკვე აღარ არსებობს.

ხანდახან ვფიქრობ, იქნებ იმედი მხოლოდ ისაა, რაც ადამიანს აძლევს ძალას არსებობისთვის, მაგრამ მაინც… ეს პატარა ნაპერწკალი ცხოვრებას ეჭიდება ჩემს გულში, და სანამ ის ცოცხალია, მე მაინც ვცდილობ არ დავნებდე.

ნინი ცხოვრებაშვილი